

პროექტის რეზიუმე

„ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“ არის საპროექტო განაცხადი, რომლის განხორციელება მნიშვნელოვნად გაზრდის ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონეს და ჩართულობას საარჩევნო და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების პროცესებში.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, მთელ რიგ ახალ პროცედურებთან და რეფორმისტულ მიდგომებთან დაკავშირებით, აუცილებელი გახდა საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება, თუ რა სახის ცვლილებებია დაგეგმილი და როგორი შეიძლება იყოს მოსახლეობის ჩართულობა ქალაქის მართვაში. ამ მიზნით, პროექტის ფარგლებში დაიგეგმა აქტივობები 5 ქალაქში: გორში, თელავში, ქუთაისში, ზუგდიდსა და ახალციხეში. სწორედ იმიტომ, რომ აქცენტს ცვლილებებზე ვაკეთებთ, ავარჩიეთ კონკრეტული სამიზნე ჯგუფი - ახალგაზრდა ამომრჩეველები და ის ქალაქები, სადაც არის უნივერსიტეტები და ძლიერი ვებპორტალები.

პროექტის მიზანია, ახალგაზრდა ამომრჩეველებმა გააკეთონ ინფორმირებული არჩევანი, გაიაზრონ საკუთარი როლი თვითმმართველობის ამ საეტაპო მნიშვნელობის არჩევნებში და და აქტიური მონაწილეობა მიიღონ მათი ქალაქის განვითარებაში. ამას უზრუნველყოფს 5 რეგიონში დაგეგმილი, ორ ტურად გაყოფილი ინტენსიური შეხვედრები და მუშაობა ახალგაზრდობასთან.

პირველი ვიზიტისას ახალგაზრდა ამომრჩეველებს მივაწვდით ინფორმაციას საარჩევნო სიახლეების შესახებ და შევთავაზებთ კონკურსში მონაწილეობას, რომლიც მოიცავს წერილობითი ბლოგების და/ან 3 წუთიანი ვიდეობლოგების მომზადებას მათ მიერ. ამ ბლოგებში სრულად იქნება ასახული მათი შეხედულებები ქალაქის განვითარებაზე და მართვაში თანამონაწილეობაზე. მოტივაციის გაზრდის მიზნით, ყველა გამოქვეყნებულ ვიდეობლოგში ავტორი მიიღებს ჰონორარს, კონკურსის შედეგად გამოვლენილი 5 საუკეთესო ვიდეობლოგის ავტორი კი პრიზით დაჯილდოვდება.

ბლოგებში წამოჭრილი ინციატივების გაცნობის შემდეგ, დაიგეგმება ვიზიტის მეორე ტური, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ საზოგადოებასთან, საკრებულოს კანდიდატებთან და ახალგაზრდებთან შეხვედრა-დისკუსიას.

პროექტის ფარგლებში მომზადდება ათობით ვიდეობლოგი (რაც თავისთავად ბევრად მეტი სტუდენტის მობილიზებას გულისხმობს), მომზადდება და დარიგდება 1000 ბროშურა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და საარჩევნო ცვლილებების შესახებ და დაიწერება 5 სიღრმისეული სტატია ადგილობრივი სიტუაციის ანალიზისათვის.

პროექტის შედეგად, 5 რეგიონში ახალგაზრდა ამომრჩეველთა ნაწილი ინფორმირებული, ახლად შეძენილი მოტივაციით და აქტიური მოქალაქის სტატუსით შეხვდება არჩევნებს.

პროექტის ეფექტური განხორციელებისათვის მოთხოვნილი თანხა შეადგენს 43 890 ლარს.